სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ევროკავშირის ბიზნესგარემო: კომპლექსური ანალიზი და პროგნოზი“ (2 წელი)

საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოში ბიზნესის ორიენტაცია ევროკავშირის ბიზნესგარემოს თავისებურებების გააზრებასა და გათვალისწინებაზე. ამასთან ერთად, აქტუალურია თვით სამეწარმეო საქმიანობის სწორი საერთო კონცეპტუალური ხედვების ფორმირებას, რათა ქართულმა ბიზნესმა შეძლოს ეფექტიანდ აითვისოს ის პოტენციური შესაძლებლობები, რასაც იძლევა ჩვენი ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და სამომავლოდ წევრობა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია ევროკავშირის ბიზნესგარემოს კომპლექსური ანალიზი, თავისებურებების და სპეციფიკის გამოყოფით, ძირითადი პარამეტრების შემდგომი საორიენტაციო საპროგნოზო გათვლებით.

ევროკავშირი წარმოადგენს 28 ქვეყნის გაერთიანებას, შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურებით (იხ. რუკა). მთლიანობაში ევროკავშირი არის რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, მისთვის დამახასიათებელი რესურსულ-ტექნოლოგიური, სოციალური და ინსტიტუციური სტრუქტურებით. ყოველივე აღნიშნული აისახება ევროკავშირის ბიზნესგარემოს თავისებურებებში, რაც მითხოვს კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გამოყოფილ და გამოკვლეულ იქნას ევროკავშირის როგორც რეგიონლული გაერთიანების თავისებურებები, მისი ბიზნესგარემოს სპეციფიკა, მათ შორის, პოლიტიკური, სამართლებრივი , დემოგრაფიული , ტექნოლოგიური , სოციალურ-კულტურული გარემო და შესაბამისი ფაქტორები. კვლევის პირველ წელს განიხილება მთლიანად ევროკავშირის და მისი ცალკეული წევრი-ქვეყნების ბიზნესგარემოს ძირითადი მახასიათებლები და ტენდენციები, გამომდინარე დღევანდელი მდგომარეობიდან და წარსულში ჩამოყალიბებული ისტორიული ტენდენციებიდან..

კვლევის მეთოდი. კვლევაში გამოყენებული იქნება სისტემური მიდგომის მეთოდი, საექსპერტო მეთოდი, ასევე სტატისტიკური ანალზის და პროგნოზირების მეთოდები.

პროექტის რეალიზაციის პირველ წელს განხორციელდება კვლევის ანალიტიკური ნაწილის შესრულება, ხოლო მეორე 2020 წელს მოხდება პროგნოზული ნაწილის რეალიზება. საკვლევი პრობლემატიკა შეივსება საპროგნოზო გათვლებით, საქართველოსთვის შესაბამისი გამოწვევების გამოყოფით და ევროკავშირში საქართველოდან ბიზნესის განხორციელების ხელშემწყობი რეკომენდაციებით.

ცალკეულ სამუშაოებში ჩართულ იქნებიან სტუდენტები, საკვლევი პრობლემების სპეციფიკისა და კვლევის ინტერესების გათვალისწინებით ევროპის უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები, ასევე სხვა უნივერსიტეტების წამყვანი მკვლევარები, რომლებიც დაკავშირებული არიან თავისი სამეცნიერო-კვლევითი პროფილით და გამოცდილებით ევროკავშირის და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცალკეული სფეროების პრობლემატიკასთან.

კვლევის შედეგების ამსახველი მასალა რედაქტირების და რეცენზირების შემდეგ გამოიცემა კოლექტიური მონოგრაფიის და დამხმარე სახელმძღვანელოს სახით. აღნიშნული გამოკვლევა, ჩვენი აზრით, იქნება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-მეთოდური ბაზა. მიღებული გამოცდილების, აპრობირებული ტექნოლოგიების და მეთოდების საფუძველზე გაგრძელდება შემდგომში ევროკავშირის ბიზნესგარემოს სისტემატური კვლევები გლობალიზაციის პროცესების ახალი თავისებურბების გათვალისწინებით.

ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის
ეკონომიკური და სოცალური პრობლემების
კვლევითი ინსტიტუტის დირექტირი,
ე. მ. დ., პროფესორი გ. ბედიანაშვილი